

შპს „ლიდერ-ბონუსი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ლიდერ-ბონუსი“
სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლიდერ-ბონუსი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლიდერ-ბონუსი“-ს (შემდგომი „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულში ჩვენ არ გვქონდა საშუალება, დავსწრებოდით სალაროს ნაშთების ინვენტარიზაციას. ასევე, ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით სალაროს ნაშთების (ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში) არსებობის დადასტურება, რომლებიც კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული ჰქონდა შესაბამისად 1,404,002 ლარად და 1,684,146 ლარად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან. ამავდროულად ჩვენ ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული

ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შვეისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

30 ნოემბერი, 2023 წ.

თბილისი, საქართველო

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვუვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

30 ნოემბერი, 2023 წ.
თბილისი, საქართველო



შპს „ლიდერ-ბონუსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,910,100	4,053,341
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		23,475	41,543
გადახდილი ავანსები	6	1,297,894	1,295,175
სხვა აქტივები		30,000	30,000
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		55,707	99,725
საგადასახადო აქტივები	7	845,252	841,828
აქტივის გამოყენების უფლება	8	3,989,300	4,874,143
ძირითადი საშუალებები	9	1,792,455	2,552,915
არამატერიალური აქტივები		1,677	3,354
სულ აქტივები		10,945,860	13,792,024
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	354,899	499,182
საიჯარო ვალდებულებები	11	4,150,477	5,057,576
სულ ვალდებულებები		4,505,376	5,556,758
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		6,440,484	8,235,266
სულ კაპიტალი		6,440,484	8,235,267
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,945,860	13,792,024

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენ.	2022 წ.	2021 წ.
წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან	12	43,099,697	21,612,992
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	1,073,295	845,627
თვითღირებულების ხარჯი	14	(926,134)	(828,542)
საერთო მოგება		43,246,858	21,630,077
საიჯარო შემოსავალი		57,210	62,876
შრომის ანაზღაურების ხარჯი	15	(2,787,014)	(1,613,936)
იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	16	(3,300,837)	(2,080,717)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,708,076)	(1,725,908)
საგადასახადო ხარჯები		(8,419,079)	(6,019,283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,799,965)	(1,088,353)
სხვა შემოსავალი	18	83,538	323,049
საკუროსო სხვაობის შედეგად მიღებული (მოგება)/ზარალი	19	323,010	188,171
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი	20	-	(181,437)
ფინანსური ხარჯი		(364,196)	(329,556)
მოგება დაბეგრამდე		25,331,449	9,164,983
პერიოდის მოგება		25,331,449	9,164,983
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		25,331,449	9,164,983

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	48,905	2,281,673	2,330,579
წმინდა (მოგება)/ზარალი	-	9,164,983	9,164,983
დარიცხული დივიდენდი		(3,211,390)	(3,211,390)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/-	(48,905)	-	(48,905)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	8,235,266	8,235,266
წმინდა (მოგება)/ზარალი	-	25,331,449	25,331,449
დარიცხული დივიდენდი	-	(27,126,232)	(27,126,232)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6,440,483	6,440,483

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022	2021
წმ. თანხები ფსონებიდან და სათამაშო აპარატებიდან	43,102,734	21,576,205
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,147,571)	(788,515)
გადახდილი იჯარა და კომუნალურები	(4,297,138)	(2,534,424)
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები	(6,774,296)	(5,144,838)
სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(1,311,306)	(903,967)
სხვა შემოსავალი/(გასავალი)	10,353	(40,015)
ლიცენზიისთვის გადახდილი თანხები	(3,895,000)	(3,880,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	24,687,775	8,284,447
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(61,098)	(876,201)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(61,098)	(876,201)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	4,598,681
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(4,647,587)
დივიდენდის გაცემა	(25,769,920)	(3,306,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(25,769,920)	(3,354,906)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(1,143,243)	4,053,340
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	4,053,341	-
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	2,910,100	4,053,341

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი: მაია ფოფხაძე

ბუღალტერი: ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,910,100	4,053,341
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		23,475	41,543
გადახდილი ავანსები	6	1,297,894	1,295,175
სხვა აქტივები		30,000	30,000
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		55,707	99,725
საგადასახადო აქტივები	7	845,252	841,828
აქტივის გამოყენების უფლება	8	3,989,300	4,874,143
ძირითადი საშუალებები	9	1,792,455	2,552,915
არამატერიალური აქტივები		1,677	3,354
სულ აქტივები		10,945,860	13,792,024
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	354,899	499,182
საიჯარო ვალდებულებები	11	4,150,477	5,057,576
სულ ვალდებულებები		4,505,376	5,556,758
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		6,440,484	8,235,266
სულ კაპიტალი		6,440,484	8,235,267
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,945,860	13,792,024

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:



მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნ. თაბაჩი

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენ.	2022 წ.	2021 წ.
წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან	12	43,099,697	21,612,992
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	1,073,295	845,627
თვითღირებულების ხარჯი	14	(926,134)	(828,542)
საერთო მოგება		43,246,858	21,630,077
საიჯარო შემოსავალი		57,210	62,876
შრომის ანაზღაურების ხარჯი	15	(2,787,014)	(1,613,936)
იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	16	(3,300,837)	(2,080,717)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,708,076)	(1,725,908)
საგადასახადო ხარჯები		(8,419,079)	(6,019,283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(1,799,965)	(1,088,353)
სხვა შემოსავალი	18	83,538	323,049
საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული (მოგება)/ზარალი	19	323,010	188,171
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი	20	-	(181,437)
ფინანსური ხარჯი		(364,196)	(329,556)
მოგება დაბეგვრამდე		25,331,449	9,164,983
პერიოდის მოგება		25,331,449	9,164,983
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		25,331,449	9,164,983

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნინო ონიანი



გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	48,905	2,281,673	2,330,579
წმინდა (მოგება)/ზარალი	-	9,164,983	9,164,983
დარიცხული დივიდენდი	-	(3,211,390)	(3,211,390)
საწესდებო კაპიტალის ცვლილება +/-	(48,905)	-	(48,905)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	8,235,266	8,235,266
წმინდა (მოგება)/ზარალი	-	25,331,449	25,331,449
დარიცხული დივიდენდი	-	(27,126,232)	(27,126,232)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	6,440,483	6,440,483

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.


შპს „ლიდერ-ბონუსი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარში)
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022	2021
წმ. თანხები ფსონებიდან და სათამაშო აპარატებიდან	43,102,734	21,576,205
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,147,571)	(788,515)
გადახდილი იჯარა და კომუნალურები	(4,297,138)	(2,534,424)
ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები	(6,774,296)	(5,144,838)
სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(1,311,306)	(903,967)
სხვა შემოსავალი/(გასავალი)	10,353	(40,015)
ლიცენზიისთვის გადახდილი თანხები	(3,895,000)	(3,880,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	24,687,775	8,284,447
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(61,098)	(876,201)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(61,098)	(876,201)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	4,598,681
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(4,647,587)
დივიდენდის გაცემა	(25,769,920)	(3,306,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(25,769,920)	(3,354,906)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(1,143,243)	4,053,340
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	4,053,341	-
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	2,910,100	4,053,341

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 30 ნოემბერს.

დირექტორი:



მაია ფოფხაძე

ბუღალტერი:

ნ. ირინი

ნინო ონიანი

გვერდებზე 10-32 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ლიდერ-ბონუსი“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ 406119338) დაფუძნდა 2014 წლის 20 მაისს. კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., №32, სართული I.

კომპანიის მფლობელები არიან:

კნიაზ დასენი: 50%-იანი წილის მფლობელი.

ტიტალ დასენი: 50%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - მაია ფოფხაძე.

კომპანიის საქმიანობის მთავარ სფეროს წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი. 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში ფლობდა 5 სათამაშო აპარატების სალონისა და 3 ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვას ქ. თბილისში და ქ. რუსთავში. სათამაშო აპარატების სალონები ოპერირებენ ბრენდული სახელწოდებით „777“, ტოტალიზატორები კი სახელწოდებით „კრისტალბეთ“.

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სამომავლო, ფულადი ნაკადების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცემა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელი დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად

დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველს, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზირებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზირებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით, როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული ფულადი ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 3-დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ფასდება გარიგების ფასით, ხოლო ისეთი მოთხოვნები, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის გამოიყენება შემდეგი საექსპლუატაციო ვადები:

	სასარგებლო ვადა (წელი)
სათამაშო აპარატები	5-6
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-5
კომპიუტერები და სხვა ტექნიკა	4-5
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით. შესაბამისად, შემდგომში არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივები განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზირდება წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადა განსაზღვრულია 6 წელი

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოყენებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით, რაც აღნიშნულ შემთხვევაში განსაზღვრება შემდეგნაირად, მოთამაშეების მიერ დადებულ ფსონებს და დატრიალებულ თანხებს გამოკლებული მოთამაშეებზე განხორციელებული საპრიზო განაცემები, მოთამაშეების მიერ მოგებული თანხები. უმრავლეს შემთხვევაში შემოსავლის აღიარების დრო ემთხვევა შემოსავლის შესაბამისი თანხების კომპანიაში შემოსვლას.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების კონკრეტული იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები

მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა. კომპანია საქმიანობის ძირითად სფეროში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის ბ პუნქტის მიხედვით გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე. თუმცა კომპანია დამატებით საქმიანობად ეწევა სხვადასხვა სასმელებისა და პროდუქტების რეალიზებას. მოცემული საქმიანობა კი წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

ინვესტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სესხები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული ნასესხები სახსრებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ.

მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საანგარიშგებო პერიოდში გაკეთებული შეფასებები გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დათვლის გამარტივებულ მიდგომას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელ გაყიდვებს და ისტორიულ გამოცდილებებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. გაუფასურების დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკვეთების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს სასაქონლო მატერიალური მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვთისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

საიჯარო ვადა. საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში. მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოფციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთი - თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ნაგულისხმევი სასესხო განაკვეთის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

შესადარისი ინფორმაციის რეკლასიფიკაცია - კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის უფრო თვალსაჩინო ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის შემდეგი რეკლასიფიკაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1. არამატერიალური აქტივების კლასიფიკაციის ქვეშ გაერთიანებული იყო, სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის წინასწარ გადახდილ სანებართვო მოსაკრებელს. ნებართვის გაცემის ვადა არის 5 წელი, თუმცა მოსაკრებლის გადახდა ხდება წლიურ ჭრილში. გატარდა რეკლას კორექტირება, რომლის მიხედვითაც, „არამატერიალური აქტივი“-ს კლასიფიკაციიდან ხსენებული აქტივი გადავიდა „გადახდილი ავანსები“-ს კლასიფიკაციის ქვეშ, რადგან აღნიშნული წარმოადგენს წინასწარ გადახდილ მოსაკრებელს თანხას, შედეგად, არამატერიალური აქტივი შემცირდა 1,250,301 ლარით, ხოლო გადახდილი ავანსები გაიზარდა 1,250,301 ლარით.
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გაერთიანდა საიჯარო ვალდებულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილები, რადგან ლიკვიდურობის მიხედვით არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის მუხლები. მოკლევადიანია და გრძელვადიანის ნაწილის დეტალური ჩაშლა მოხდა ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1. არამატერიალური აქტივების კლასიფიკაციის ქვეშ გაერთიანებული იყო, სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის წინასწარ გადახდილ სანებართვო მოსაკრებელს. ნებართვის გაცემის ვადა არის 5 წელი, თუმცა მოსაკრებლის გადახდა ხდება წლიურ ჭრილში. გატარდა რეკლას კორექტირება, რომლის მიხედვითაც, „არამატერიალური აქტივი“-ს კლასიფიკაციიდან ხსენებული აქტივი გადავიდა „გადახდილი ავანსები“-ს კლასიფიკაციის ქვეშ. შესაბამისად, მოსაკრებლის ხარჯი, რომელიც აღიარებული იყო „ცვეთა და ამორტიზაცია“-ს კლასიფიკაციის ქვეშ, გადავიდა „საგადასახადო ხარჯები“-ს კლასიფიკაციაში. რეკლას კორექტირების ეფექტი არის 2,629,698 ლარი.
2. რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი აღიარებული იყო „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“-ს მუხლში, ხოლო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, „სხვა შემოსავალი“-ს კლასიფიკაციის ქვეშ. რეალიზებული ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი გადაიხურა ერთმანეთში და მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გადავიდა „ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი“-ს კლასიფიკაციის ქვეშ. რეკლასიფიკაციის წმინდა ეფექტი არის 181,437
3. ფასს 16 მიზნებისთვის დარიცხული ფინანსური იჯარის ხარჯი გაერთიანებულ იყო „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“-ს მუხლში. მოხდა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის გამოყოფა და ხარჯის გამოყოფა მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გადავიდა, როგორც „ფინანსური ხარჯი“.

ვინაიდან აღნიშნულ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია გაუნაწილებელ მოგებაზე, კომპანიამ არ მოახდინა ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).

ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის

ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩათვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

ბასს 8- ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ იყო გაურკვეველობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათვალისწინდება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,404,002	1,684,146
მიმდინარე ანგარიშები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,506,098	2,369,196
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,910,100	4,053,341

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის წინასწარ გადახდილ სანებართვო მოსაკრებელი სხვა ავანსები	1,250,301	1,250,301
	47,592	44,873
სულ გადახდილი ავანსები	1,297,893	1,295,174

7. საგადასახადო აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი შეადგენს 845,252 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 841,828 ლარი). გადახდა ხდება ყოველი კვარტლის დაწყებამდე, წინასწარ (სათამაშო ბიზნესის კვარტალური მოსაკრებელი, რომელიც დადგენილია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე).

საგადასახადო აქტივებში ასევე შედის წამახალისებელი გათამაშებისთვის გადახდილი გადასახდელებიც.

ქვევით წარმოდგენილია სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები:

- ❖ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ❖ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის N277 დადგენილება სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N455 დადგენილება შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობების, მათი ოდენობების, გადახდის პერიოდულობისა და წესის განსაზღვრის შესახებ;
- ❖ „ავტორიზაციის წესის, ავტორიზაციის სერთიფიკატის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №239 ბრძანება;

შპს „ლიდერ-ბონუსი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

❖ „არსებითი პროდუქციის და მომსახურების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #69 დადგენილება;

❖ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

8. აქტივის გამოყენების უფლება

იჯარით აღებული ქონება	
საერთო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერი	2,466,993
დამატება	3,074,167
ცვეთის ხარჯი	(667,017)
საერთო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი	4,874,143
ცვეთის ხარჯი	(884,843)
საერთო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი	3,989,300

სამომავლო საიჯარო გადასახდელების ჯამი დადისკონტირდა მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირების 6.8%-იანი განაკვეთით.

აქტივის გამოყენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება წრფივად საიჯარო ხელშეკრულებების ვადის შესაბამისად.

9. ძირითადი საშუალებები

	სათამაშო აპარატები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	9,118,987	1,055,462	-	72,251	10,246,699
მატება	717,434	132,837	25,930	-	876,201
ჩამოწერა	(1,410,944)	-	-	-	(1,410,944)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	8,425,477	1,188,299	25,930	-	9,639,705
მატება	12,160	48,936	-	-	61,096
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	8,437,637	1,237,234	25,930	-	9,700,801
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	(5,886,118)	(876,371)	-	(67,005)	(6,829,494)
ცვეთის ხარჯი	(930,222)	(118,368)	(3,378)	(5,247)	(1,057,214)
ჩამოწერა	727,667	-	-	-	727,667
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	(6,088,673)	(994,739)	(3,378)	-	(7,086,790)
ცვეთის ხარჯი	(746,624)	(70,428)	(4,504)	-	(821,556)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	(6,835,297)	(1,065,167)	(7,881)	-	(7,908,346)
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2020	3,232,868	179,091	-	5,247	3,417,206
31 დეკემბერი 2021	2,336,803	193,560	22,552	-	2,552,915

31 დეკემბერი 2022	1,602,339	172,067	18,048	-	1,792,455
-------------------	-----------	---------	--------	---	-----------

კომპანიას არ გააჩნია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გირაოში ჩადებული ძირითადი საშუალებები.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გადასახდელი იჯარა	160,848	328,184
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	194,051	170,998
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	354,899	499,182

11. საიჯარო ვალდებულებები

ბალანსი 31.12.2020	2,905,440
საიჯარო ვალდებულების დამატება	3,074,167
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	329,556
საპროცენტო ხარჯის პატიება	(100,771)
გადასახდელი ძირის პატიება	(125,841)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(685,319)
გადასახდელი პროცენტის დაფარვა	(147,481)
საკუროს სხვაობის შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)	(192,175)
ბალანსი 31.12.2021	5,057,576
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	245,240
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	4,812,336
სულ საიჯარო ვალდებულებები	5,057,576
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	364,196
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(615,411)
გადასახდელი პროცენტის დაფარვა	(364,196)
საკუროს სხვაობის შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)	(291,688)
ბალანსი 31.12.2022	4,150,477
საიჯარო ვალდებულებები (მიმდინარე)	976,572
საიჯარო ვალდებულებები (გრძელვადიანი)	3,173,905
სულ საიჯარო ვალდებულებები	4,150,477

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს ფასს 16-ის მიხედვით. ამგვარი იჯარების ხარჯი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარები ცვლადი გადახდებით აღიარებას განაგრძობს როგორც იჯარის ხარჯი.

12. წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან

წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან	2022წ.	2021წ.
წმ. შემოსავალი სლოტებიდან	41,921,177	21,130,170
წმ. შემოსავალი ტოტალიზატორიდან	1,178,519	482,822
წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან	43,099,697	21,612,992

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2022 წ.	2021 წ.
შემოსავალი ბარის მომსახურებიდან	1,073,295	845,627
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	1,073,295	845,627

შემოსავალი რეალიზაციიდან უმეტესად შედგება კომპანიის მიერ ბარიდან გაყიდული საქონლიდან მიღებული შემოსავლებით.

14. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2022 წ.	2021 წ.
გაყიდული/შემენილი საქონელი	811,627	666,717
უსასყიდლო რეალიზაცია	90,000	141,393
ბარის ხარჯი	8,307	6,229
განსაკუთრებული ხარჯები	16,200	14,204
სულ თვითღირებულების ხარჯი	926,134	828,542

თვითღირებულების ხარჯი უმეტესად მოიცავს სათამაშო სალონის ბარიდან რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას.

15. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი	2022 წ.	2021 წ.
არამენეჯერული პოზიციის თანამშრომლების ანაზღაურება	2,401,720	1,422,567
მენეჯმენტის ანაზღაურება	385,294	191,369
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	2,787,014	1,613,936

16. იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი

იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	2022 წ.	2021 წ.
საიჯარო ქირა	2,470,239	1,498,003
კომუნიკაციის ხარჯები	459,857	415,663
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	370,742	167,052
სულ იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	3,300,837	2,080,717

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022წ.	2021წ.
ტოტალიზატორის ხარჯი	75,587	82,899
სათამაშო აპარატების ტექნიკური ხარჯი	1,059,083	423,532
საბანკო მომსახურების საფასური	145,747	127,394
რემონტი	6,423	8,538
სამეურნეო ხარჯი	95,424	87,901
რეკლამის ხარჯები	19,000	38,054
საკონსულტაციო ხარჯები	10,600	25,102
საკანცელარიო ხარჯი	37,447	5,415
კომპიუტერის ხარჯები	6,514	6,238
დაცვის მომსახურება	54,378	43,009
საპენსიოს ხარჯი	50,560	26,143
კოვიდ-19 დაკავშირებული ხარჯი	47,058	90,729
სხვა საერთო ხარჯი	192,143	123,399
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,799,965	1,088,353

18. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2022 წ.	2021 წ.
ფინანსური იჯარის გადასახდელი პროცენტისა და გადასახდელი ძირის პატიებას	-	226,612
საპროცენტო შემოსავლები	12,635	15,680
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	70,903	80,757
სულ სხვა შემოსავალი	83,538	323,049

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია ქვეისაიჯარო მომსახურებასა და სხვა მცირე სარეკლამო მომსახურებასთან.

19. საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული (მოგება)/ზარალი

საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)	2022 წ.	2021 წ.
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საკურსო შემოსავალი	323,010	188,171
სულ საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული (მოგება)/ზარალი	323,010	188,171

20. ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი

ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი	2022 წ.	2021 წ.
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	(683,277)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	501,841
ძირითადი საშუალებების რეალიზაციის წმინდა შედეგი	-	(181,437)

21. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დამატებით დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში დამატებით რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნევა მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით არ იდენტიფიცირებულა დაგირავებული ქონება და შეზღუდული აქტივები

22. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არასამუშაო მდგომარეობაში: ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებით, ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებით, გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებული საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

შპს „ლიდერ-ბონუსი“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში 2022 წლის 31 დეკემბრისა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :

31-დეკ- 2022

სავალუტო რისკი	ლარი	უცხოური ვალუტა
ფინანსური აქტივები:		
ფული და ფულის ექვივალენტი	2,910,100	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,476	-
გადახდილი ავანსები	1,297,894	-
სულ ფინანსური აქტივები	4,231,470	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	174,442	180,457
სულ ფინანსური ვალდებულებები	174,442	180,457
წმინდა სავალუტო პოზიცია	4,057,027	(180,457)

31-დეკ- 2021

სავალუტო რისკი	ლარი	უცხოური ვალუტა
ფინანსური აქტივები:		
ფული და ფულის ექვივალენტი	4,053,341	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,543	-
გადახდილი ავანსები	1,295,175	-
სულ ფინანსური აქტივები	5,390,059	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	382,203	116,979
სულ ფინანსური ვალდებულებები	382,203	116,979
წმინდა სავალუტო პოზიცია	5,007,856	(116,979)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე, რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 და 2022 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში, წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ნაშთებისგან, რადგან იქ ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2022 -2021 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2022	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,910,100	-	2,910,100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,476	-	23,476
გადახდილი ავანსები	1,297,894	-	1,297,894
სხვა აქტივები	-	30,000	30,000
სულ ფინანსური აქტივები	4,231,470	30,000	4,261,470
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	354,899	-	354,899
სულ ფინანსური ვალდებულებები	354,899	-	354,899
წმინდა პოზიცია	3,876,571	30,000	3,906,570

31.12.2021	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,053,341	-	4,053,341
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,544	-	41,544
გადახდილი ავანსები	1,295,175	-	1,295,175
სხვა აქტივები	-	30,000	30,000
სულ ფინანსური აქტივები	4,139,758	30,000	5,420,059
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	499,182	-	499,182
სულ ფინანსური ვალდებულებები	499,182	-	499,182
წმინდა პოზიცია	4,890,877	30,000	4,920,877

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში, სადაც ის ოპერირებს.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით, გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-22		31-დეკ-21	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,910,100	2,910,100	4,053,341	4,053,341
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,476	23,476	41,544	41,544
გადახდილი ავანსები	1,297,894	1,297,894	1,295,175	1,295,175

შპს „ლიდერ-ბონუსი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სხვა აქტივები	30,000	30,000	30,000	30,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	354,899	354,899	499,182	499,182

24. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო;
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუუმებს;
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანიაში შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	გადახდილი დივიდენდი	შრომის ანაზღაურება	მომსახურების ხარჯი	სულ
საერთო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერი				
მენეჯმენტის ძირითადი პერსონალი და დამფუძნებელი:	-	385,294	-	385,294
დამფუძნებელი	27,126,232	-	-	27,126,232
შპს „ამიგო“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	291,586	291,586
შპს „პლაზა+“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	6,000	6,000
შპს „კრისტალ პლიუსი“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	476	476
სულ	27,126,232	385,294	298,062	27,809,588

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	გადახდილი დივიდენდი	შრომის ანაზღაურება	მომსახურების ხარჯი	მომსახურების შემოსავალი	სულ
საერთო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერი					
მენეჯმენტის ძირითადი პერსონალი და დამფუძნებელი:	-	191,369	-	-	191,369
დამფუძნებელი	3,211,390	-	-	-	3,211,390
შპს „ამიგო“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	94,395	-	94,395
შპს „პლაზა+“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	4,000	-	4,000
შპს „კრისტალ პლიუსი“ (საერთო დამფუძნებელი)	-	-	9,000	69,130	78,130
სულ	3,211,390	191,369	107,395	69,130	3,579,285

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის მფლობელები და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან:

- კნიაზ დასენი 50%-იანი წილის მფლობელი.
- ტიტალ დასენი 50%-იანი წილის მფლობელი.

25. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომზადარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 ნოემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული მოვლენებისა, არ დაფიქსირებულა:

- 2023 წლის სამი კვარტლის მონაცემებით კომპანიამ დააგენერირა მოგება. 2023 წლის პერიოდში კომპანიის მიერ დამფუძნებლებზე გაცემულმა დივიდენდი შეადგინა 18,432,660 ლარი
- კომპანიამ შეიძინა 528,968 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები

შპს „ლიდერ-ბონუსი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის პროფილი	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
საკანონმდებლო სივრცე	4
ფინანსური მაჩვენებლები	5
კომპანიის მიღწევები	6
კომპანიის განვითარების გეგმები	7
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

კომპანიის პროფილი

შპს „ლიდერ-ბონუსი“ (შემდგომში „კომპანია“) (ს.კ 406119338) დაფუძნდა 2014 წლის 20 მაისს. კომპანიის მარეგისტრირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ. №32, სართული I.

კომპანიის მფლობელები არიან კნიაზ დასენი 50% წილის მფლობელი და ტიტალ დასენი 50% წილის მფლობელი.

კომპანიის საქმიანობის მთავარ სფეროს წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი. 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში ფლობდა 5 სათამაშო აპარატების სალონისა და 3 ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვას ქ. თბილისში და ქ. რუსთავში. სათამაშო აპარატების სალონები ოპერირებენ ბრენდული სახელწოდებით „777“, ტოტალიზატორები კი სახელწოდებით „კრისტალბეთ“.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ლიდერ-ბონუსი“-ს ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის მოწყობა, კომპანია ოპერირებს ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში.

კომპანიის შემოსავლის ფორმირების წყაროა სათამაშო აპარატების სალონისა და ტოტალიზატორის მოთამაშეების მიერ განხორციელებული ფსონებიდან მიღებული ამონაგები. მოთამაშეებზე განაცემები დამოკიდებულია თამაშობის მიმდინარეობასა და შედეგებზე, რომელიც თავის მხრივ მოქცეულია გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოში.

კომპანიის არამძირითადი შემოსავლების წყაროს წარმოადგენს საიჯარო და სათამაშო აპარატების სალონებში არსებული ბარის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა აღნიშნული მთავარი საქმიანობის დამხმარე ხასიათს ატარებს.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო თვიური მაჩვენებელი 251 ადამიანს შეადგენს. ორგანიზაციული თვალსაზრისით ფუნქცია-მოვალეობები განაწილებულია განყოფილებებს შორის, რომელთაც ხელმძღვანელობს დირექტორი. იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს იურიდიული საკითხების მოგვარებას შიდა და გარე სუბიექტებთან ურთიერთობას. ფილიალების მართვის განყოფილება პასუხისმგებელია საერთო საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასა და შიდა სამეურნეო პროცესების კონტროლზე. შიდა სამეურნეო საკითხებს ფილიალებში წარმართავს ობიექტის მენეჯერი. კომპანიაში ასევე ფუნქციონირებს უსაფრთხოების და ადმინისტრაციული განყოფილება. თავის მხრივ, ადმინისტრაციული განყოფილება უზრუნველყოფს საკადრო, მარკეტინგულ და ოპერატიულ-ტექნიკურ საკითხებს.

საფინანსო განყოფილების ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენს ობიექტების შემოსავალ-გასავლების, ფულადი ნაკადების აღრიცხვა და კონტროლი, მათი სისწორისა და მიზანშეწონილობის ანალიზი, ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, შემოსავლებისა და გასავლების შესაბამისობის კონტროლი სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორების პროგრამული მონაცემების მიხედვით. საქმიანობის კონტროლისა და აღრიცხვიანობისათვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიკური და კომპიუტერული პროგრამები.

საკანონმდებლო სივრცე

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, შესაბამისად საქმიანობა მოითხოვს აუცილებელი ნებართვის ფლობასა და ექვემდებარება სპეციალურ რეგულირებას სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან.

ქვევით წარმოდგენილია სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელი რიგი საკანონმდებლო აქტები:

- ❖ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ❖ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის N277 დადგენილება სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების დადგენის თაობაზე;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივლისის N455 დადგენილება შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობების, მათი ოდენობების, გადახდის პერიოდულობისა და წესის განსაზღვრის შესახებ;
- ❖ „ავტორიზაციის წესის, ავტორიზაციის სერთიფიკატის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №239 ბრძანება;
- ❖ „არსებითი პროდუქციის და მომსახურების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #69 დადგენილება;
- ❖ „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

ტენდენციურად, „საკანონმდებლო რეგულაციები საშუალოდ წელიწადში ერთხელ უმნიშვნელოდ, ხოლო 2-3 წელიწადში ერთხელ მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიან. მაგალითად, მოსაკრებლების ზრდის კუთხით, ან გარკვეული შეზღუდვის დაწესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე მიღებულია ობიექტებზე მიმდინარე ფულადი ნაკადების მოძრაობის, ასევე ძირითადი ტექნიკური საშუალებების მაკონტროლებელი რიგი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, რომლებიც მოქმედებს და ინფორმაციის მაკონტროლებლებზე მიწოდება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელ ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახური. აღნიშნული სამსახურები მუდმივ მონიტორინგს უწევენ კომპანიის საქმიანობას.

ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების დინამიკა


	2022	2021
წმ. შემოსავალი ფსონებიდან და აზარტული თამაშებიდან	43,099,697	21,612,992
სხვა შემოსავალი	83,538	323,049
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,073,295	845,627
საიჯარო შემოსავალი	57,210	62,876
მოგება საკუროსო სხვაობიდან	323,010	188,171
სულ	44,636,750	23,032,715



ხარჯების დინამიკა


	2022	2021
თვითღირებულების ხარჯი	926,134	828,542
შრომის ანაზღაურების ხარჯი	2,787,014	1,613,936
იჯარის, კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	3,300,837	2,080,717
ცვეთა და ამორტიზაცია	1,708,076	1,725,908
საგადასახადო ხარჯები	8,419,079	6,019,283
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,799,965	1,088,353
სხვა წმინდა შემოსავალი/ხარჯი	-	181,437
ფინანსური ხარჯი	364,196	329,556
სულ ხარჯი	19,305,301	13,867,732

ხარჯების დინამიკა



ფინანსური მდგომარეობა

	2022	2021
სულ აქტივები	10,945,860	13,792,024
სულ ვალდებულებები	4,505,376	5,556,758
სულ კაპიტალი	6,440,484	8,235,266



კომპანიის მიღწევები

კომპანია, 2014 წლიდან აქტიურად ეწევა საქმიანობას სათამაშო ბიზნესის სფეროში. 2014 წლიდან ეტაპობრივად გახსნა კლუბები და დღეის მდგომარეობით, მყარ მოთამაშეს წარმოადგენს ანალოგიური სეგმენტის სხვა წევრებს შორის.

კომპანია თანამშრომლობს არაერთი ქვეყნის შიდა თუ გარე მომწოდებელთან, რომელთაგანაც წლების მანძილზე საიმედო პარტნიორის სტატუსით სარგებლობს, რასაც ადასტურებს გრძელვადიანი და განახლებული სახელშეკრულებო ურთიერთობებიც.

კომპანიას ძირითადად გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სხვადასხვა საკვები თუ მომსახურების პროდუქტების შეძენისას.

კომპანიამ, კონფიდენციალური და ინდივიდუალური მიდგომის, ახალი აპარატურის დანერგვისა და სხვადასხვა წამახალისებელი პროდუქტის შეთავაზების საფუძველზე, მოახერხა ერთგული მომხმარებლების ნდობის მოპოვება.

სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შესრულება, ყოველთვის დროულად და სრული ოდენობით ხდება, რაც კომპანიისათვის მისი იმიჯისა და კეთილსინდისიერების ერთ-ერთ უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომპანიის განვითარების გეგმები

კოვიდ პანდემიის შემდგომ, კომპანიამ მოახერხა საქმიანობის დონის აღდგენა და წარმატებით ახორციელებს საქმიანობას, ინერგება პროგრამული სიახლეები. ეტაპობრივად მზადდება სამომავლო გეგმები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მსოფლიოში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გარკვეული რისკები და გაურკვევლობები საქმიანობის თანმდევი ფაქტორია და გარკვეული მათგანის თავიდან აცილება შეუძლებელი. სხვა მხრივ, კომპანიის მენეჯმენტი თვალს ადევნებს ტექნიკურ, საკანონმდებლო, შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებს მათ სამომავლო დაგეგმარებაში.

შპს „ლიდერ-ბონუსი“

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

30 ნოემბერი 2023 წელი

კომპანიამ, კონფიდენციალური და ინდივიდუალური მიდგომის, ახალი აპარატურის დანერგვისა და სხვადასხვა წამახალისებელი პროდუქტის შეთავაზების საფუძველზე, მოახერხა ერთგული მომხმარებლების წდომის მოძოვნა.

სახელმწიფოს წინაშე ეკლდებულეზების შესრულება, ყოველთვის დროულად და სრული ოდენობით ხდება, რაც კომპანიისათვის მისი იმიჯისა და კეთილსინდისიერების ერთ-ერთ უპირობო პრიორიტეტს წარმოადგენს.

კომპანიის განვითარების გეგმები

კოვოდ პანდემიის შემდგომ, კომპანიამ მოახერხა საქმიანობის დონის აღდგენა და წარმატებით ახორციელებს საქმიანობას, ინერგება პროგრამული სიახლეები. ეტაპობრივად მზადდება სამომავლო გეგმები.

ბირითადი რისკები და გაურკვევლობები

მსოფლიოში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გარკვეული რისკები და გაურკვევლობები საქმიანობის თანმდევი ფაქტორია და გარკვეული მათგანის თავიდან აცილება შეუძლებელი. სხვა მხრივ, კომპანიის მენეჯმენტი თვალს ადევნებს ტექნიკურ, საკანონმდებლო, შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებს მათ სამომავლო დაგეგმარებაში.

შპს „ლიდერ-ბონუსი“

დირექტორი:

მაია ფოფხაძე

30 ნოემბერი 2023 წელი

